№ 194
სამშაბათი, 13 სექტემბერი 1894

1877—1894

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

№ 194
სამშაბათი, 13 სექტემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრაფო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

იოსელიანის ახალი წიგნი იხილე მე-4 გვერდი.

18 სექტემბერს, კვირას, დილის 10 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, მოხდება ქართულ დრამატიულ საზოგადოების

წლიური კრება

განსახილველი საგნები:

1, წარსულ წლის ანგარიში; 2, ხარჯთ-აღრიცხვა-მომავალის წლისა; 3, არჩევა მმართველობის ზოგიერთ წევრებისა და იმათ კანდიდატებისა; 4, არჩევა სარევიზიო კომმისიის წევრებისა 5, მოხსენება მომავალს სეზონის შესახებ.

(3—3—2)

კბილის ექიმი
ვ. ი. ჭიჭინაძე
(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4-დგან 6 საათამდე.

რთულ და ძნელ სადოსტაქრო საქმის, ოპერაციის დროს ისწრებს ექიმს ი. ელიაშვილს. (4—6—4)

## ტფილისი, 13 სექტემბერი

—

ჩვენის დაბა ქალაქებიდგან არა ერთხელ მოგვსვლია საჩივარი ნოქართა უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. სიხ რბითა და ანგარებით გატაცებული ვაჭრები არც კვირას უყურებენ, არც უქმესა და დღესასწაულს და საბრალო ნოქრები-კი იძულებულნი არიან დილიდგან საღამომდე გამუდმებით დუქნებში იყვნენ ფეხ-მოუცვლელად. იმათთვის არც დასვენება გაუჩენია ღმერთს, არც წირვა-ლოცვა, არც ოჯახი!

ქარხნის მუშებმა კარგა ხანია მიიქცია მთავრობის ყურადღება, მაგრამ ნოქრები-კი, რომელთა რიცხვი საერთოდ არ ჩამოუვარდება ქარხნის მუშათა რიცხვს, უყურადღებოდ არიან დატოვებულნი.

ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო საჩივარი ქუთაისისა და ოზურგეთის ნოქრებისა, რომელნიც იწერებოდნენ, რომ ვაჭრების ანგარებით დიდად შევიწროებულნი ვართ, კვირაში ერთი დღე მოსვენება არა გვაქვსო. ქუთაისის ქალაქის საბჭომ, მართალია, დაადგინა, რომ კვირაობით დაკეტილი იყოს ხოლმე დუქნებიო, მაგრამ ეს დადგენილება მხოლოდ ქაღალდზეა აღნიშნული და განუხორციელებლად დარჩა. ვაჭრები ამ დადგენილების გზის ასახვევად შემდეგს საშუალებასა ჰხმარობენ: დარაბებსა ჰხურავენ და მეორე, ეზოს მხრიდგან ჰვაჭრობენ მალულად და ნოქრებს ისევ ამუშავებენ. ამ გვარად საბჭოს დადგენილება უქმადა რჩება და ვაჭრები თავისას არ იშლიან. ასეთივე საქმე დაემართა ამ დადგენილებას ტფილისში, სადაც ქალაქის საბჭომ აგერ წელიწადზედ მეტია, რაც აღკრძალა კვირაობით ვაჭრობა.

ეს საგანი-კი ფრიად საყურადღებოა და ამ დადგენილებისაგან არის დამოკიდებული დასვენება რამდენიმე ათასის სულისა. ამიტომ საჭიროა, რომ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს მთავრობამ და კანონდებულების წესით აღიკრძალოს კვირა დღეობით ვაჭრობა. რაკი სასჯელი იქმნება დადებული ამ დღეს ვაჭრობისათვის, მაშინ ვაჭრები ამას მეუშინდებიან და ნოქრებს საშუალება მიეცემათ, მძიმე ჯაფისა და შრომის შემდეგ, კვირაში ერთს დღეს დაისვენონ.

დიოგენი

## დეპეშა

10 სექტემბერი

**პეტერბურგი.** არსდება ახალი თანამდებობა ვარშავის სამხედრო ოლქის ცხენოსანთა ჯარის უფროსისა, ამ თანამდებობაზე მყოფს ეწოდება ჯარების მთავარ-მართებლის თანაშემწე და იმასვე მიენდობა ცხენოსანთ ჯარის მართვა.

**იოკოჰამა.** იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა, დაუღალავად განაგრძოს ომი. და თუ გარემოება მოითხოვს კიდევ 80,000 კაცი გამოიყვანოს ბრძოლის ველზედ. მომეტებული ნაწილი ამ ჯარისა ჰიროშიმში გაიგზავნება

როგორც ოფიციალური ცნობებიდამ სჩანს, იაპონელებს უკანასკნელ ბრძოლის დროს, 9 აფიცერი და 30 მატროსი მოუკლეს და 160 დასჭრეს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** რუსეთის გამოფენის საქმე, ხუროთმოძღვარის ციგლერის ზედამხედველობით, მუყაითად მიდის. შენობანი გამოფენისათვის დანიშნულ დროსთვის გათავებულნი იქმნებიან. მთელი გამოფენის შენობა დაფასებულია 2,600,000 მანათად. ფინანსთა მინისტრის განკარგულებით გამოფენის შენობანი და ყველა მასალა დაზღვეულია „Россія“-ს საზოგადოებაში.

## ახალი ამბავი

—

*** ბათუმი (10 სექტემ.) მის იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე დღეს ბათუმში მობრძანდა. ნავთსადგურზე მათ უმაღლესობას დაუხვდნენ: ხაშურის ციხის კომენდანტი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე, სხვა უფროსნი და მრავალი ხალხი, რომელიც აღტაცებულის «ურას» ძახილით მიეგება მათ უმაღლესობას. ნავთ-სადგური ბაირაღებით იყო მორთული. აქედგან მისი იმპერატორებითი უმაღლესობა სამეფო მატარებლით ბორჯომს წაბრძანდა. („კავკ.“)

*** შაბათს, 10 სექტემბერს, კავკასის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი ტფილისს ჩამოვიდა.

*** გუშინ, 12 სექტემბერს, ტფილისის სამხედრო ოლქის სასამართლომ დაიწყო გარჩევა იოაკიმე გარშენინის საქმისა, რომელმაც მოჰკლა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწე, კორში. სასამართლოში დიდძალი ხალხია. სასამართლო უკვე შეუდგა მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევას. თვით ბრალდებულს გამხდარ-გაყვითლებული სახე აქვს და ლაპარაკის დროს გული უწუხდება. იქვე არიან ბრალდებულის მეუღლე, დები და ძმები, რომელნიც განუწყვეტლად ტირიან.

*** კვირას, 11 სექტემბერს, ბუხარის ემირი მირ-სეიდ-აბდულ-ახადხანი ვიზიტით იყო კავკასიის მთავარ-მართებელთან.

*** ჩვენ უკვე გამოცხადებული გვქონდა, რომ ქალაქის მოურავმა სასწავლებლების დირექციას ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება, სამი

## ფელეტონი

—

### ილიკო ბედენაძე

(ესკიზი)

საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც ილიკო ბედენაძემ უკანასკნელი გაკვეთილი მისცა თავისს მოწაფეებს და დაღ ლილ-დაქანცული გარედ გამოვიდა. მშვენიერი გრილი საღამო იყო; ის იყო მზეც ჩაესვენა მთაწმინდის გორას და ცეცხლის მფრქვევი სხივები წამოჰკრიფა დედამიწიდგან; დაჰბერა საამურმა ნიავმა, მიმოჰფანტა სიცხის ბუღი, და მთელი ქალაქი მოძრაობაში მოიყვანა... დაქანცული ილო ხარბად ჰყლაპავდა გრილ ჰაერს და თან დინჯად მიაბიჯებდა მთაწმინდისაკენ. ეს იყო ილოს ერთად-ერთი საყვარელი ადგილი. ბევრს სიამოვნებას და თან ბევრს ტანჯვას იგრძნობდა ხოლმე ბედენაძე, როდესაც მთაწმინდის ქედიდგან გადმოსცქეროდა მრავალ ტანჯულ სამშობლოს მიდამოსა... ამ დროს მის თვალ-წინ იშლებოდა მთელი აწმყო და წარსული მისი ქვეყნისა და გული ათას გვარად ელადრებოდა. ან კიდევ, ბუნების სიკეკლუცე-სიტიადით დამტკბარს თავი მოჰქონდა და ამაყობდა იმით, რომ იგი შვილია იმ ბუნებისა! მხოლოდ უკანასკნელი სულის კვეთება წუთიერი-წარმავალი იყო ხოლმე ილიკოსათვის.

ილიკო ბედენაძე ერთი ღარიბი მღვდლის შვილი იყო... მამა ძალიან ადრე მოუკვდა. დარჩა ილიკო ობლად, უპატრონოდ და [illegible]იმ თავითვე საშინელ გაჭირვებაში ჩავარდა. უბინაობამ, სიმშილ-წყურვილმა, მოუვლელობამ თვისი ზედგავლენა იქონიეს ნორჩს ბედენაზე და ბუნებით მალხაზი ყმაწვილი დაიჩაგრა, დანაღვლიანდა. ისე გაატარა ილიკომ თავისს სიყმაწვილე, რომ ერთი ტკბილი სიტყვა არავისგან არ სმენია. სულ წვალებაში, სულის ქენჯნაში და დავიდარაბაში იყო. მხოლოდ ერთი ტკბილი დღე ახსოვდა თავისს სიცოცხლეში და ეს დღე იყო, როდესაც მამამ შემოისვა ცხენზედ და სასწავლებელში წაიყვანა. ილიკო მაშინ თერთმეტ-თორმეტის წლისა იქნებოდა და კარგად ახსოვს ეს ბედნიერი დღე. ახსოვს, თუ რა ალერსიანათ ექცეოდნენ ოჯახში. დღესაც ნათლად წარმოუდგება ხოლმე მამის სურათი, თავისს დაკონკილ-დაკერებული ანაფორითა, დაღვრემილის სახით და ქუსლებ-მორეხილ ხარაზის წაღებითა. მამის სურათის წარმოდგენით მოიგონებს ხოლმე მის გულ-კეთილობას, მის ალერსს და უკანასკნელს დარიგებასა. და ეს წარმოდგენა რაღაც სიამოვნებით, რაღაც ნეტარებით ავსებს მის გულს, რაღაც უზენაესს სიყვარულს აგრძნობინებს ხოლმე ყველა პატიოსანი, გულ-კეთილის ადამიანისადმი. დიაღ, სიამოვნებით მოიგონებს ხოლმე იმ დღეს, როდესაც თვალ-ცრემლიანი მამა უკანასკნელად არიგებდა თავის პირმშოს. „აბა შვილო, ვინძლო კარგად ისწავლო და მოხუცებულს მამას ცხოვრება შემიმსუბუქო, ხომ ხედავ ლამის შუაზე გავწყდე და მაინც სიღარიბეს თავი ვერ დავაღწიეო“! ამ სიტყვებით გამოეთხოვა მამა თავისს შვილს. ეს იყო და ეს. შვილს მამა აღარ უნახავს. შავმა სიკვდილმა ერთმანეთს მოაშორა. ილიკომ მეორე კვირასვე გაიგო მამის სიკვდილი. ბევრი ინაღვლა, მაგრამ რაღას მოუმატებდა. ცრემლი და გოდება საყვარელ არსებას ველარ გააცოცხლებდა. ამას ილოც კარგად ჰგრძნობდა, მაგრამ ყველა მის მოგონებაზედ თვალიდგან ცრემლები გადმოსდიოდა. გული დაეხურა და სახე მოეღუშა. დღეიდგან იგი ნათამაშევი, მოცინარი აღარავის უნახავს. ან-კი რა ჰქონდა სამხიარულო? მამის მზრუნველობა მოაკლდა და იმისი ცხოვრება უბედურად მოეწყო. მამამ სიღარიბის გამო ერთ ღარიბ ოჯახში დააყენა. ილოს დიასახლისი მეტის-მეტი კაპასი დედაკაცი გამოდგა. ყოველ დღე თავის ქმარს ეჩხუბებოდა და ილოს ხომ დღეს უმწარებდა. ხან წყალზე გააგდებდა, ხან ფურნეში გზავნიდა, ხან ნაფოტებს აგროვინებდა. ამ გვარად ერთ წუთს მოსვენებას არ აძლევდა. ილოც ძალა-უნებურად ემორჩილებოდა ჭირვეულ დიასახლისს, მაგრამ სიცოცხლე-კი ეწამლებოდა. დაჩაგრულ-დამონავებული ბავში თბილ სიტყვას ვერსადა ჰპოვობდა და ბოლოს გულშივე იტრიალებდა. ასეთი იყო ილოს შინაური ცხოვრება. მეტს სიამოვნებას ილო ვერც სასწავლებელში პოულობდა. პირველად ილიკოს სწავლა ძალიან უძნელდებოდა, რადგანაც უფროსს კლასში მიიღეს და მისგან გაუგებარი საგნები დააწყებინეს. ამასთანავე მასწავლებელიც საშინელი უზდელი და გაუნათლებელი კაცი შეხვდა, მეტად უნიჭო და გამოთაყვანებული... შევიდოდა კლასში თუ არა, მაშინვე რაღაც მხეცურს გამომეტყველებას მიიღებდა ხოლმე და ისე იბღვირებოდა, გეგონებოდათ, მასწავლებელი-კი არა ჯალათიაო. ღვთის წინაშე ჯალათივითაც-კი იქცეოდა ეს ღირს შესანიშნავი პედაგოგი. ვაი იმას ვინც გაინძრეოდა ან დაიჩურჩულებდა! გავერაგებული მასწავლებელი გეზელქორივით დაეცემოდა ხოლმე მსხვერპლს და სულ ბუწუწებს დააგლეჯდა. დამფრთხალი მოწაფეებიც გრძნობდნენ მასწავლებლის პირქუშობას და განაბულები შესცქეროდნენ. აი ამისთანა კაცს ჩაუვარდა ხელში ილიკო და მისი ამხანაგები. რაღა თქმა უნდა, რომ ბავშვები დავთარ-დაკარგულები იქნებოდნენ და საზოგადოდ ძალიან ნაკლებადაც ისწავლიდნენ... სახლში დამფთხალი ილიკო, კლასში ხომ შიშის ზარმა აიტანა. უიმისოდაც დაჩაგრული ბავშვი უფრო დაშინდა და უცხო ენაზედ „გაზუბრული“ გაკვეთილები თავიდგან ეფანტებოდა. გაუძნელდათ ბავშვებს სწავლა... გაუძნელდა ილიკოსაც ცხოვრება და ერთ-

სასწავლების დაარსების სეშახებ (რუსულის, ქართულის და სომხურისა) უკვე აცნობათ. ამის გამო ბ. ნ. საერო სასწავლებლების დირექტორმა ქალაქის მოურავს გამოუცხადა, რომ ხსენებული სკოლების დაარსება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ რომ ახლად დამტკიცებული წესდება არ იქმნება დარღვეული, ე. ი. თუ ამ სკოლებში ყველა ეროვნების ყმაწვილებს ექმნება შესვლის ნება, სწავლა განსაკუთებით რუსულს ენაზედ იქმნება და ადგილობრივს ენებს-კი კერძო ადგილი დაეთმობათო და თუ ამ სასწავლებლის ზედამხედველობა მარტო სამოსწავლო მთავრობას ექმნება დათმობილიო.

ქალაქის მოურავმა უპასუხა: რადგანაც საბჭოს, სკოლების დაარსების დადგენის დროს, მხედველობაში არა ჰქონია თქვენგან დასახლებული მოთხოვნილებანი, ამიტომ მე უფლება არა მაქვს საბჭოს განაჩენი დავარღვიოო.

ბ-ნ დარასკის წინადადებას ამ დღეებში განიხილავს საბჭოს მიერ ამორჩეული სამოსწავლო კომისია.

*** კავკასიის მთავარმართებელი გენერალ ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი გუშინ ტფილისიდგან კოჯორში წავიდა

***, 14 სექტემბერს, ქალაქის გამგეობაში ხმოსან ექიმთა სხდომაა დანიშნული ქალაქის უფროსის სასანიტარო ექიმის ამოსარჩევად.

*** ტფილისის სამოსწავლო ინსტიტუტში გამოცდა უკვე გათავდა. თხოვნა 86 კაცმა შეიტანა. იმათში გამოცდის შემდეგ 25 კაცი იქმნა მიღებული. უადგილობის გამო ბევრი ისეთიც დაითხოვეს, რომელსაც ეგზამენი კარგადა ჰქონდა გარდახდილი.

*** ტფილისში მოელიან ბ-ნ იუსტიციის მინისტრის ამხანაგს ი. ლ. გორემიკინს. მიზეზი გორემიკინის ჩამოსვლისა, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ის არის, რომ ადგილობრივვე განიხილოს საქმე გამმიჯვნელ დეპარტამენტის დაარსებისა ტფილისის სასამართო პალატასთან; ცალკე გამმიჯვნელი დეპარტამენტის დაარსება საჭიროდ დაუნახავს მთავრობას, რადგანაც გამიჯვნის საქმეები ძალიან ბევრი მოგროვილა და მათ გარჩევა გადაწყვეტას დაჩქარება ეჭირვება. საქმეთა სიმრავლისგამო ბ-ნ მინისტრის ამხანაგი გორემიკინი ორს თთვეს დარჩება ტფილისში და შემდეგ ერევანსა ბაქოსა და ქუთაისში გაემგზავრება.

*** ფოთი. 8 სექტემბერს ფოთის ქალაქის ხმოსანთა არჩევანები იყო. ამორჩეულნი იქმნენ: ნ. ი. ნიკოლაძე, რომელსაც 193 თეთრი კენჭი ამოუვიდა და 17 შავი; გიგო დიდია (177 თ.—32 შავ.) მავრ. მენდელი (165—44); ვას. თოფურიძე (1 5—44) ილ. ანცევი (165—44), ნიკ. პამიჩეიშვილი (163—46) დმ. გლინკა (161—48), ან. შესტერინოვი (161—48); ევგ. გაბელია (159—50); კონსტ. ბაჟბეუქ-მელიქოვი (157—52.) სტ. გოვინავა (156—54); თეოფ ლეხნიცკი (156—53); ნიკო ჰანტურია (156—53); ანდრ. ჟვანია (155—54); სამ. ჩოჩუა (154—55); ქრის. ხუმარაძე (152—57); პავ. შაფათავა (149—60); დავ, მაკალატია (146 — 63·) ვ. პლოხოტნიკოვი (146—63); მიხ. ალხაზიშვილი (144—65); სიორიძე (144—65) კ. რუხაძე (143—35) ალ. საბახთარიშვილი (142—67.); ალ. გუგუშვილი (141—68. ლ. მიხაილოვსკი (141—68); თურქია მერ. (138—76); ათ. ხოშტარია (131 - 78); ბახვა კაჭარავა (128—81); კრუაშვილი (124—85; ზაქ. ალხაზიშვილი (124—85); ევგ. ოდიშარია (123—86); და ნიკო ბაგათურია (120—89);

კანდიდატებად ამორჩეულ იქმნენ: გიგო ურუშაძე (116—93); ივ. ხიჩალავა (115—94); ტერ-ოვაკიმოვი (112—97); ბახვა ბოქაია (112—97); გვარალია კინტირია (110—99); დიმ. ფანცულაია (110—99); იულა ხუნჯუა (107—102) სამ. ქავთარაძე (106—103). ბ-ნი მეუნარგია თავისი მომხრეებით, ბბ. მეიერი, (74—136), ძიძიგაური (56—153), გაბუნია (90—119) და სხვ. არც ერთი მათგანი, ვინც-კი მეუნარგიას მომხრე იყო, არ იქმნა ამორჩეული არც ხმოსნად და არც კანდიდატად. არჩევანებმა წყნარად ჩაიარა. არავითარი უწესება არ მომხდარა. („ნოვ. ობოზ.“)

*** სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა: 28 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზედ ცაზედ შავი ღრუბელი ნაჭერ-ნაჭრად დაიყო, უცბად ამოვარდა საშინელი ძლიერი ქვენა-ქარი და დადგა შავად მტვრის კორიანტელი; ცოტა ხნის შემდეგ ჩამობნელდა, რამდენჯერმე სასტიკად დაიჭექა და დაუშინა ჯერ მსხვილი წვიმა და მერე ზედ საშინელი სეტყვა მოაყოლა. სეტყვამ და ქარიშხალმა გასტანა თითქმის 20 წამი. ძლიერმა ქარიშხალმა მრავალს სახლს ბანები აჰგლიჯა, მეტადრე იმათი, რომლებიც ჩალით იყო დახურული. აგრეთვე მრავალი ხეხილი და ხეები დაამტვრია. მინდვრად, სადაც შემოუსვლელი სიმინდები იყო, ძალიან დააზარალა, ბევრი გარეული ფრინველი გასწყვიტა. საზოგადოდ წელს აქეთ ხშირად არის ქარი. ხუმელაგაში 7 აპრილიდგან აგვისტოს გასვლამდის 34 ყმაწვილი გარდაიცვალა ყვავილით.

*** 10 ამ თვისას ნიკოლოზის ქუჩაზე ქუჩარიანცის სახლში მუშებს ყუთიდამ მოჰპარეს 36 მან. და 80 კ. ტანისამოსი.

*** ამავე დღეს წყაროს უბანში უეცრად გარდაიცვალა ჯარის კაცად ნამყოფი 80 წლის თათარინცევი.

## დამაკვირდი

ბევრია ისეთი ადამიანი, რომელსაც წიგნები ავეჯსავით უყვარს და იმითი თავისს ოთახს უფრო ალამაზებს, ვიდრე თავისს ჭკუას.

მ. ლ. დ.

**

ხალხი სარწმუნოებასაცა და გოდებასაც მათოდ-მორწმუნეობას უმორჩილებენ.

კლიმენტი XIV

**

პატივის მოყვარეობა და სიმშვიდე სულისა ერთად ვერ მოთავსდებიან.

მონტენი

## კორესპონდენცია

ბარის ოსები, 8 სექტემბერი. საშინელ წვა-დაგვაში არიან შარშან და წელს აქაური მეცხვარეები საქონლის ჭირის გამო. ჯერ იყო-და, მთაში ძლივს გაარეკინეს საბრალოებს ცხვარი, მაგრამ, ისიც უდროო დროს. ახლა, როცა შინ მოუდიოდათ, ზოგი მეცხვარეები, ალაგირის ერთ ვიწრო ხეობაში «კარანტინის» გამო დაუყენებინათ ქვეყნის ცხვარი რამოდენსამე დღეს და იქ თურმე დიდს გაჭირვებაში ჰყავდათ; ზოგ მეცხვარეებს უგზო-უკვლოდ გამოეპარებინათ თავიანთი ცხვარი, ზოგი ცხვრის პატრონები ამბობენ, იძულებულნი ვართ, თუ ასეთს წვალებაში ვიქნებით, სულ ხელი ავიღოთ ცხვრის შენახვაზედაო.

ჯერ ორს ამ ოქტომბერს და მერე ექვსს მოულოდნელად ჩამოგვითოვა კავკასიონის მთა და მისი კალთები, და ეს არის მიზეზი, რომ, მას აქეთ ძალიან აცივდა ბარის ოსებში და ზამთრის ტანთსაცმელი მოგვანახვინა. ღამ-ღამე თრთვილსა სდებს. ხალხი ძალიან შეაფიქრიანა ამ მოულოდნელმა სიცივემ, რადგან წელს აქეთ სიმინდები ძალიან ნაგვიანევია, თუ აქედანვე ასეთმა სიცივეებმა გასტანა, ეჭვი არ არის რომ წელს ბარის ოსებში დიდ-ძალი სიმინდები დარჩება შემოუსვლელი და დასძრავს. პური და ქერი ხომ წელს აქეთ ძრიელ მცირედ მოვიდა. მხოლოდ კარტოფილი მოვიდა წელს ბლომად.

— თითქმის ყველა სოფელს აქვს მოდებული ყვავილი, რომელიც ძლიერ აზარალებს ყმაწვილებს. ამის მიზეზნი-კი თავად ბარის ოსები არიან, რომელთაც არ ესმით ადამიანის დარიგება, რომ ააცრევინონ თავიანთ ყმაწვილები. ქრისტიანის სოფელში, ახლა ყელ-ჭირვებამაც იჩინა თავი და ეს საშინელი სენი უფრო მუსრს ავლებს საბრალო ბავშვებს. ბარის ოსებს გარდა, მთის ოსებშიაც იჩინა თავი ამ სენმა. მაგალითებრ სოფლებ: ზაყაში, ნარაში, ზარამაგაში, და თიბაში დიდს ზარალს აძლევს ყვავილი და ყელ-ჭირვება.

სიმინდის ფასმა ცოტა აიწია ბარის ოსებში. დღემდინ ზომა (ფუთ ნახევარი) ექვსი შაური იყო, დღეს-კი რკინის გზის სადგურებში ცხრა შაურად ჰყიდულობენ.

ამ ჟამად ბარის ოსებში ძლიერ შემცირდა ქურდობა. ქურდობის შემცირების მიზეზი ის არის, რომ ოლქის უფროსის განკარგულებით, ქისტებს აღარ ატარებენ ბარის ოსების სოფლებში. ნახავენ თუ არა ქისტს, მაშინვე უნდა შეიპყრონ და წარუდგინონ მთავრობას. მართლაც თუ ქისტებს და ბარის ოსებს უწინდებურად ხშირი მისვლა-მოსვლა აღარ ექნებათ ერთმანეთში, იმედია, ბარის ოსებში ქურდობა-ავაზაკობა შემცირდება.

ქართველი ოსებში

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ბ-ნ ნ. ნიკოლაძის ფოთში ხმოსნად ამორჩევის შესახებ აი რასა სწერს გაზეთი „ნოვ. ობოზრ.“:

„იქმნება თუ არა ბ-ნი ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავად, ეს ჯერ დაჭეშმარიტებით არ ვიცით, რადგანაც ხმოსანთა არჩევანები ჯერ დამტკიცებული არ არის და ქალაქის მოურავის არჩევანი ჯერ არ ყოფილა. მხოლოდ, ამას-კი ვიტყვით, რომ, თუ ფოთელების სურვილი ასრულდა და ბ-ნ ნიკოლაძეს დარჩა ბ-ნ მეუნარგიას ადგილი, ეჭვი არ არის, რომ ქალაქი დიდს მოგებაში იქნება, რადგანაც ბ-ნ ნიკოლაძე უფრო გამოცდილი და დახელოვნებული თავისს მომავალ მოღვაწეობისათვის, ვიდრე დანარჩენნი მისნი წინამოადგილენი.

ბ-ნი ნიკოლაძე უფრო შეეფერება ფოთელების იდეალს. იგი, გარდა იმისა, რომ საქმის კაცია, ნიჭიც შესწევს ახალი, სასარგებლო საქმეც შექმნას და მეორე, მან თავისი სიცოცხლე ტფილისის საბჭოსა და იმის ხმოსნებთან ბრძოლაში გაატარა და ამიტომ ზედ-მიწევნით აქვს შესწავლილი კავკასიის დედა-ქალაქის ეკონომიური მდგომარეობა.

მართალია, ნიკოლაძე, როგორც კაცი, უნაკლულო არ არის, და იქნება ზოგიერთის მხრივ კიდეც ჩამოუვარდეს თავისს წინამოადგილეებს, მაგალი-

---

ხელ სასწავლებლიდგან გაქცევაც-კი დააპირა. გაიქცა კიდევაც, მაგრამ სად წავიდოდა? სასწავლებლის უფროსმა, ზემოდ მოყვანილ მასწავლებელზედ უფრო გამოთაყვანებულმა, მაგრამ გამოქნილმა და გაიძვერამ, სასტიკი განკარგულება მოახდინა. ილო დაიჭირეს და უფროსს მიჰგვარეს. უფროსმა კარგა ლაზათიანად გაასილაქა და ერთის კვირის უსადილობა გადაუწყვიტა. ეს იყო და ეს, ილიკოს გაქცევა აღარ გაუფიქრნია. იგი დაემორჩილა თავისს ბედს, თუმცა-კი შეიძულა უფროსი და მასწავლებელიც. ამ დროს დედის წერილიც მოუვიდა, რომელშიაც ეხვეწებოდა: „შენ გენაცვალოს დედის თვალები, ვინძლო კარგათ(დ) ისწავლო და მტრის გულისად არ გამხადო. ყველას დამორჩილდი. ღვთისა და უფროსის მოშიში იყავიო. . ამასთანავე გიგზავნი ხუთ ჩურჩხელას და სამს კომშს და თუ კარგად ისწავლი უფრო მეტს გამოგიგზავნიო“. არ ვიცი სწორე მოგახსენოთ, ისეთი რა ძალა ჰქონდათ დედის სიტყვებსა, მაგრამ ილომ კი ბევრი, ძალიან ბევრი იტირა დედის წერილზედ და კიდევაც გადასწყვიტა კარგად ესწავლა. მართლადაც, ბეჯითობას მოუმატა და სწავლითაც წინ წავიდა. ილო არ ამაყობდა, გულ ჩვილს ყმაწვილს ამხანაგები ძალიან ებრალებოდა და ყოველთვის მათი ერთგული იყო, ამხანაგებიც გრძნობდნენ ილოს გულის სიკეთეს და ნდობით ეკიდებოდნენ. ამ გვარად ილოსა და ამხანაგებს შორის მეგობრობა გაიმართა.

ასე მიდიოდა დრო და ჟამი. წელიწადი წელიწადს მისდევდა და ილოს გარეგან ცხოვრებაში ცვლილება არა ხდებოდა-რა. მხოლოდ ილოს სულიერი ცხოვრება თანდათან მდიდრდებოდა: ხასიათი უმაგრდებოდა. ჭკუა-გონება უვითარდებოდა, ზნეობა უფაქიზდებოდა, და გონების თვალი ეხილებოდა. თუ პატარაობისას ყველა უმართებულო მოქცევა სისხლს უმღვრევდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა, დღეს იგივე მოქცევა საბრძოლველად იწვევდა, ამხნევებდა და თვის მოწინააღმდეგედ იხდიდა. თუ პატარაობისას გულ-კეთილად ექცეოდა თვის ამხანაგებს, დღეს იმან სულითა და გულით შეიყვარა იგინი, შეიყვარა ყველა თავისიანი და მზად იყო მოსარჩლედ გახდომოდა. თუ აქამდინ მონა იყო თავისს კ პასი დიასახლისა, დღეს შეუძლიან თავისს შრომით იცხოვროს, თავისს ოფლით მოიპოვოს ლუკმა პური. მაგრამ... გაჭირვებულმა ცხოვრებამ თავისს ულმობელი დაღი დაასვა მის სულიერ ცხოვრებასაც. ილო სულ დაფიქრებული, დანაღვლიანებული დაიარებოდა. ეტყობოდა, რაღაც ბრძოლა უნდა ყოფილიყო მის გულში, და ეს ბრძოლა ისე ღრმად აღბეჭდილიყო მის სახეზედ, რომ ოცი წლის ჭაბუკი მცხოვანად გამოიცქირებოდა და არც საკვირველია. ილომ პატარაობითვე იმოდენა წვალება, იმოდენა უბედურება გამოიარა, რომ უთუოდ უნდა დაბრძმედებულიყო, უდროოდ უნდა დამწიფებულიყო. მართალია არიან ისეთი სუსტი ბუნებისანნი, რომლებიც ილოს მდგომარეობაში სულით ეცემიან, გულით ირყვნებიან და ხასიათით ფუჭდებიან. ილომ-კი გაუძლო ამ ბრძოლას და ჭუჭყ-მიუცხებელი გამოვიდა. იმდენად პატიოსანი, იმდენად ფაქიზი ზნეობისა იყო ილიკო, რომ მას სრულებით დავიწყებული ჰქონდა თავისს თავი და მზად იყო დაჩაგრულ მოძმეს მტლედ დასდებოდა, მზად იყო მომაკვდავ მოძმისთვის თავის გულ-ღვიძლი გაელესნა და ის დაელევინებინა, მზად იყო ვერაგობისათვის, ძალ-მომრეობისათვის თავისი მხნე მკერდი მიეშვირნა და მათი უკუღმართი ძალა გაეთახსირებინა, მიწასთან გაესწორებინა.

ძალ-მომრეობას და გაიძვერობას ილო მარტო დაბალ, გაუნათლებელ ხალხში არა ხედავდა. იგივე ხვდებოდა მას ცხოვრებაში, სასწავლებელში, „განათლებულ საზოგადოებაში“, თვის ამხანაგებში, ნაცნობ ნათესავებში. ხედავდა, რომ ყველა პირფერობს, ყველა ქვემძრომელობს, ყველა თვის ჯიბეს და ლუკმა პურს ემსახურება! «რასაკვირველია სიცოცხლე ბრძოლაა არსებისათვის, მაგრამ.. პირუტყვული, ცხოველური არსება-კი ვერაფერი ბედენააო“, ჰფიქრობდა ილო, როდესაც იგი წამოიზარდა და ჭკუა-გონება გამოეწაფა. და ხარბად დაეწაფა მეცნიერებას, ცხოვრების შესწავლას. დაეწაფა-კი, მაგრამ ბევრი შხამიც შესვეს. მას შემდეგ, რაც თავი შეისწავლა, რაც გაიგო, თუ რა არის სწავლა და ან რისთვის არის იგი, კვალში ჩაუდგა ყველა ბოროტ-მოქმედებას და სადაც კი სიტყვა მიუწვდებოდა სთუჩგნიდა და ზიზღით იხსენიებდა ძალ-მომრეობას. სცდილობდა ამხანაგებში ერთობა ჩამოეგდო და მით „ადამიანს“ ადამიანობა დაემტკიცებინა. მაგრამ... ილომ ვერაფერი გააწყო და «ერთ მშვენიერ დღეს», იმ დროს, როდესაც ცხოვრებაში უნდა გამოსულიყო «დიპლომ-ატესტ ტით აღჭურვილი სასწავლებლიდგან დაითხოვეს და ყველა-გვარი ცხოვრების სახსარი მოუსპეს. დიდი, ძალიან დიდი უბედურება მოუვიდა ბედენაძეს, მაგრამ ის მაინც არ შემდრკალა და ცხოვრების უკუღმართობას კვლავ გაუმკლავდა. მაგრამ... ბედენაძე ბრმას გიჟად მოეჩვენა და სიცილ-კასკასი მიაყარეს. ილოს გული სტკიოდა ქვეყნის სივერაგეზე და ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე „მართალი უთქვამს ჩვენს პოეტს“ «ეხლ -ნდელ დროში ჭკუა ხაშია, გრძნობა-კი არტალაო!» მაგრამ რა? მოვა დრო ნამდვილი, წრფელი განათლება ჩვენშიაც ფეხს მოიკიდებს და მაშინ ყველა იგრძნობს თავისს დანიშნულებასაო. მანამდის კი შეუნდოთ, „რამეთუ არ იციან რას იქმან,“ გულ-გრილად დააბოლავებდა ხოლმე ილო და გულ-მხურვალედ ეწაფებოდა თვით განვითარებას, ამ ერთად ერთს თა-

თებრ,ის ისე დინჯად ვერ მოისვენებს თავმჯდომარის სავარძელზედ, როგორც ვახრამოვი, იმას ისეთი დარბაისელი შეხედულობა არა აქვს, როგორიც ჰქონდა თავდგირიძესა, ისე ხერხიანად ვერ ჩამოართმევს ხელსა, როგორც ბ-ნი მეუნარგია და, ამას გარდა, იმის სერთუკს ერთი ფოლაქი ყოველთვის აგლეჯილი ექმნება, მაგრამ, სამაგიეროდ, თუ ნიკოლაძეს მოუხდა ბრძოლა ქალაქის მტრებთან, მაშინ იგი არ დაიშურებს და უხვად გამოიღებს თავისს დიდსა და საფუძვლიანს ეკონომიურსა, სტრატეგიულსა და სხვა მეცნიერულს ცოდნას, და ამ შემთხვევაში-კი ნიკოლაძეს მართლაც ცალი და ბადალი არა ჰყავს. უფრო-კი ამას ავსებს „ქალაქი მერმისისა“.

**

„რუსსკ. არხივ.“-ში დაბეჭდილია ბ-ნ მურავიოვის წერილები 1833 წლის შესახებ. სხვათა შორის სასაცილო ამბავს მოგვითხრობს მურავიოვი ცნობილის სოციალისტის სენ-სიმონის მიმდევართა შესახებ.

„სულთანს უცნობებია მურავიოვისათვის, რომ სტამბოლში 13 ფრანგი მოვიდაო. ესენი თურმე სოციალისტის სენ-სიმონის მიმდევარნი ყოფილან. რაღაც უცნაურად ჩაცმულნი. დაუკითხავად დასახლებულან ერთს თურქულს სადარაჯოსთან. სულთანს მაშინვე გაუგზავნია შეიარაღებული ახმედ-ფაშა-მიმურა და გამოუკითხავს, რისთვის ან რა საჭიროებისათვის მოსულან სტამბოლშიო. სენ-სიმონის მიმდევრებმა თამამად უპასუხეს: ჩვენ პარიჟიდგანა ვართ მოსულნიო. მამა ჩვენი ციხეში დავტოვეთ და ახლა დედას ვეძებთო. და თუ ჩვენ დედა ვიპოვნეთ, მაშინ მთელ დედამიწის ზურგზედ სათნოება და სიმშვიდე დამყარდება, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ომი მოისპობა და მთელი დუნია ერთ საზოგადო კანონს დაემორჩილებაო. თქმა არ უნდა, რომ ამნაირმა პასუხმა გააკვირვა ფაშა და მისი მხლებლები. განცვიფრებით ჰკითხეს: «როგორ უნდა იცნოთ ის ქალი, რომელსაც თქვენ დაეძებთო?» ის ყველაზედ უმშვენიერესი და უჭკვიანესი არსება არისო. უპასუხეს ფრანგებმა.—ჩვენი ქალები საყოველთაოდ ლამაზები არიანო და მგონი ძალიან გაგიძნელდებათ თქვენის დედის მონახვაო. გაათავეს ლაპარაკი ფრანგებთან და დარაჯები დაუყენეს. მეორე დღეს „სერასკირმა“ დაიბარა ეს უცნაური ხალხი და როდესაც მოუსმინა, უთხრა: დიაღ, ის დედაკაცი აქ იყო, მაგრამ აქედგან წავიდაო, ამიტომ გირჩევნიათ, რომ სხვა ქვეყანაში მოძებნოთო“.

**

„სევერნ. ვესტნ“. სექტემბრის ნომერში საყურადღებო შენიშვნაა დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების აზრს ფინლიანდიაში.

ვისაც-კი ტყვილ-უბრალოდ, უსაქმურად არ უცხოვრნია ფინლიანდიაში, ვისი მოქმედებაც ცოტად თუ ბევრად შეეხება ფინლიანდიის ყოფაცხოვრებას და ინტერესებს,—ამბობს ჟურნალი, ის უთუოდ გამოსცდიდა, რა ძალა და მოქმედება აქვს ადამიანზედ საზოგადოებრივს აზრს, ამ შეუბრალებელ ცენზორს, რომლისაც განათლებულ ქვეყნებშიაც კი ყველაზედ ძალიან ეშინიათ. ამ „საზოგადოების აზრს“ უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე კანონს და უფროსის ბრძანებას, მეტადრე ფინლიანდიაში. კაცი ვერ წარმოიდგენს, თუ რა სისწრაფით შეადგება ხოლმე ეს საზოგადოებრივი აზრი. თვალის დახამხამებაზე მოიარებს მთელ საზოგადოებას დიდით-პატარამდის და მკაფიოდ აღნიშნავს ადამიანის მოქმედებას, მის დამოკიდებულებას და სწორედ სულის სამირკვლამდის შეარყევს ხოლმე ადამიანის არსებასა.

უმთავრესნი გამომხატველნი საზოგადოების აზრისა, რასაკვირველია, ჟურნალ-გაზეთებია, მაგრამ თვით საზოგადოებაც სიტყვიერად გამოხატავს ხოლმე თვისს აზრსა და შეხედულობას. მწერლობა მხოლოდ გულ-დადებით ემსახურება ფინლიანდიის საზოგადოების აზრს და გაფაციცებით ადევნებს თვალ ყურს მოღვაწეთა მოქმედებას.

ყველა საზოგადო მოღვაწე, რაც უნდა ღირსეული და გამოჩენილი იყოს, მაინც ჰგრძნობს, რომ იმის მოქმედებას სასტიკად ადევნებენ თვალ-ყურსა და ამიტომ ყოველთვის მოუსვენარია. ჩვენშიაც-კი შიშით განკალს დაიწყებენ ხოლმე, თავისი გვარი რომ ნახონ დაბეჭდილი და მხოლოდ ქება-დიდება მოსწონთ.

ფინლიანდიაში ამ მეთვალ-ყურისა არავის ეშინიან და დიდად განვითარებულ-აღორძინებული მწერლობა საზოგადოების აზრს ავრცელებს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.

გაზეთი შეიძლება როგორმე დაიყოლიოს კაცმა, (ამას ახერხებენ კიდეც), მაგრამ უბედურება ის არის, რომ ფინლანდიაში საზოგადოების აზრი უგაზეთოდაც ადვილად იკიდებს ფეხსა და ამასთანავე საზოგადოების თანაგრძნობა თუ სიძულვილი მაინც ძლიერ ჰმოქმედებს.

ამისთანა დიდი მნიშვნელობა საზოგადოების აზრს შემთხვევით არ მისცემია.

რომელისამე ქვეყნის საზოგადოების აზრი მით უფრო მტკიცე და უტყუარია, რაც ხალხი უფრო განვითარებულია მოქალაქეობით და კულტურით. კიდეც ეს არის მიზეზი, რომ ფინლიანდიელები დიდს ყურადღებას აქცევენ თავისს სასწავლებლებს, ერმათ სწავლა-განათლებას და სცდილობენ ბავშვებს მამულის დიდი სიყვარული ჩაუნერგონ, რადგანაც მტკიცედ სწამთ, რომ მარტო წრფელი განათლება მოსპობს ცხოვრების ათას გვარ ბოროტებასაო.

**

აფრიკის ემირის მოგზაურობის შესახებ კალკუტის ერთი გაზეთი აი რასა სწერს:

საკვირველია, რომ დედოფალმა ემირის მოწვევა ამდენს ხანს დააგვიანა. ინგლისის მთავრობას რუსეთის მაგალითისათვის მაინც მიებაძნა იმ რუსეთისათვის, რომელმაც ბუხარის ემირის მოწვევით იმის სახანო თავისს სამფლობელოს დაუკავშირა.

ინდოთა გაზეთს ძალიან სურს, რომ აბდურახმან-ხანმა ინგლისში იმოგზაუროს.

ლონდონის საკვირველებანი, ლამანშის სამხედრო ხომალდები, გულვიჩის თოფ-ხანა უეჭველია, იმოქმედებს და ბრიტანიის გავლენას უფრო მტკიცე ნიადაგი მიეცემა მთელს ავღანისტანში. თვით ინგლისელები, როდესაც თავისის თვალით ნახავენ ემირს, უფრო გულდადებით მოჰკიდებენ ხელს პამირის საქმეს, თორემ ამასაც რუსეთი ნელ-ნელა ხელში იგდებსო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ორლეანის დუკმა, პარიჟის გრაფის გარდაცვალების შემდეგ ბევრი აღარ დააყოვნა და თავის თავი საფრანგეთის ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. დაასაფლავეს პარიჟის გრაფი თუ არა, ორლეანის დუკმა მაშინვე ლონდონისკენ გასწია. აქ, ამ ჟამად, თითქმის ათასამდე როიალისტს მოეყარა თავი და ახალს მემკვიდრეს უცდიდნენ. სხვათა შორის აქ იყვნენ შემდეგი შესანიშნავნი წარმომადგენელნი «ლეგიტიმიზმისა» — ცნობილი ბოშე, არა ნაკლებად ცნობილი ბუფფე, დუკი დ'ოდიფრე პაკიე და ერვე, რედაქტორი გაზ. „Soleil“-ისა. დუკი გამოეცხადა ამ კრებას და შემდეგის სიტყვით მიჰმართა. „ბ-ნებო, მამიჩემის გარდაცვალებით დიდად დანაღვლიანებული, მაინც გულითა და სულით მოხარული ვარ თქვენის თანაგრძნობასა და მადლობასაც გიძღვნით მაგ თანაგრძნობისთვის. თქვენი ერთად თავის მოყრა, მარტო გარდაცვალებულის გრაფის პატივის ცემას-კი არ ამტკიცებს არამედ იმასაც ჰმოწმობს, რომ თქვენ კვალად თანაუგრძნობთ ეროვნულ მონარქიის დედა აზრსა, რომლის წარმომადგენელიც დღეს მე ვარ. ძალიან კარგადა მაქვს შეგნებული, თუ რა უფლება მეძლევა ამ მემკვიდრეობით და ან რა მომეთხოვება სამშობლოსაგან. ყოველთვის ვიხელმძღვანელებ მამიჩემის მაგალითით. მარად ჟამს გათვალისწინებული მექნება მისი დაუღალავი ბრძოლა და მისი წამებული სიკვდილიც-კი გზას გამინათებს. გარდა ამისა, გამამხნევებს თქვენი, აქ მყოფთა, და მრავალთა როიალისტთა თანაგრძნობა და თუმცა-კი ჯერ ახალგაზდა ვარ, მაგრამ ვეცდები შეუდრეკელად, მუყაითად ვემსახურო ჩემს დანიშნულებას, ჩემს მოვალეობასა, რადგანაც კარგად მესმის, რა სამსახური უნდა გაუწიო ჩემს საყვარელს საფრანგეთსა! მე ვწირავ ჩემს თავს და ჩემ ძალ-ღონეს ამ წმიდა მოვალეობას და ღვთით, მგონი, კიდევაც შევასრულებ!» თავისი აღტაცებული სიტყვა გაათავა თუ არა, დუკმა სათითაოდ გადაჰკოცნა დ'ოდიფრე პაკიე, ბოშე და ბუფფე, ხელი ჩამოართვა რედაქტორ ერვეს და დანარჩენთ თავი დაუკრა.

როიალისტთა დასში ამ ჟამად დიდი ცვლილება მოხდა. ამ დასის მოთავეობიდგან დათხოვნილ იქმნა გრაფი დოსსონვილი. თუმცა დოსსონვილის დათხოვნა სრულიადაც არავის გაუკვირდა, მაგრამ ყველა-კი მიხვდა, რომ ორლეანის დუკს დოსსონვილისთანა კაცები არაფრად ეჭაშნიკება, მით უმეტეს, რომ დოსსონვილი მაინც და მაინც დიდი გამოჩენილი და კეთილშობილი ოჯახის შვილი არ არის...

ამბობენ, რომ საფრანგეთის მემკვიდრე კიდეც ამიტომ დიდის სიამოვნებით კითხულობდა ხოლმე დრიუმონისაგან დოსსონვილის გასაკიცხავად დაწერილ სტატიებსაო.

ახალი საფრანგეთის მემკვიდრე ლონდონში აპირობს ცხოვრებას, რადგანაც უფრო ახლო იქნება „მოქმედთა კომიტეტთან“, რომელიც პარიჟში არსდება, და უფრო ბეჯითად ადევნებს თვალ-ყურს. თავისს სიმდიდრის ცნობილი პარიჟის გრაფის ქვრივი კი ეცდება ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ თავის შვილს როგორმე საფრანგეთის ტახტი დაუპყროს. ამბობენ, სხვათა შორის, რომ მომხრეთა გამგედ კალო იქმნებაო. მემკვიდრის მდივნის თანამდებობას ამ ჟამად დუკი დელუინი ასრულებს. ეს ის დელიუნია, რომელიც მემკვიდრეს თან ახლდა საფრანგეთში მოგზაურობის დროს და სიძეა დუკის მეუღლის ტიუზესი, რომელმაც მილიონები დახარჯა ბულანჟეს აზრის გასამარჯვებლად.

რაც შეეხება იმას, რანაირად მიეგება განათლებული ქვეყანა როია-

---

ვისს მანუგეშებელს: დიაღ, ასე გულგრილად სჯიდა ხოლმე ბედენაძე, მაგრამ ისეთი წუთებიც ხვდებოდნენ მას ცხოვრებაში, რომ გულ-გრილობა დაუტევებდა და მოშხამულდაკოდილს გულში ჯოჯოხეთის კოცონი ენთებოდა. ასეთ მდგომარეობაში იყო ილო იმ დღებსაც, როდესაც ჩვენი ამბავი იწყება.

ღრმად ჩაფიქრებული და სახე მოღუშული ბედენაძე დინჯად მიდიოდა მთაწმინდისაკენ. ეტყობოდა რაღაც არა სასიამოვნო სურათი წარმოედგინა მის ოცნებას და ამ სურათით შეწუხებული თავ დავიწყებამდისინ მისულიყო. ის ხან ილიმებოდა, ხან წარბებს იჭმუხნიდა, ხან ერთ რომელიმე წერტილს აშტერებდა თვალებს, ხან ხელებს იქნევდა და ოხრავდა. საშინელი შესახედი იყო ბედენაძე- სწორეთ შეშლილს ჰგავდა.

— ეჰ! რაც მოხდა, მოხდა. წასულ საქმეს ვეღარ დავაბრუნებთ. მაშ რაღა დაგვრჩენია? ბრძოლა უკულმართობასთან, და ნამდვილი ცხოველსმყოფელი განათლების შეძენა! ისეთი მკაცრად, ისეთი არა ჩვეულებრივის კილოთი წამოიძახა ეს სიყვები, რომ თითონვე შეკრთა და აქეთ იქით მიიხედ-მოიხედა. ილომ მხოლოდ ეხლა დაინახა, რომ მარტო ის არ იყო. მისს გარშემო ხალხი ბუზივით ირეოდა. გრილ საღამოს მთელი ქალაქი გარედ გამოეწვია და მთაწმინდის გორას-კი თავისკენ მიეზიდნა. ილო შეკრთა, ცოტა არ იყვეს შერცხვა კიდევაც ხომ არვინ გაიგონაო და მოსეირნეთ ეჭვის თვალით სინჯვა დაუწყო. მაგრამ მალე დარწუნდა, რომ მისი ჯავრი არავის ჰქონდა. მის გარშემო მყველა მხიარულებდა. ყველა სცდილობდა ესარგებლნა გრილი საღამოთი. საშინელი ჟრიამული და სიცილ-კასკასი გაისმოდა. აქ ყველარჯულის და წოდების ხალხს თავი მოეყარა. და თუმცა ასეთი სხვა-და სხვაობა იყო, მაგრამ მაინც ერთმანეთში რაღაც კავშირი ჰქონდათ, ბუნების სიდიადეს ყველას გული ერთგვარათ აეღელვებინა და საღამოს ნაზი ნიავი ყველას ერთგვარად ულიტინებდა. აგერ მხიარულად მიკასკასებენ კეკლუცნი „შლიაპოსნები“ და ეშმაკურად შეჰყურებენ თვისს კავალერებს, რომლებიც, თავის მხრით, სცდილობენ ბევრი იოხუნჯონ და მით თვისი „დამრჩკების“ ყურადღება დაიმსახურონ. «დამებიც ბედნიერად გრძნობენ თავსა. ცუღლუტობენ, კავლრებს სიტყვას უბურთავებენ და უმიზეზოდ კუჩკუჩებენ. მათ უკან მისდევს უფრო სასაცილო გროვა ადამიანებისა. ესენიც, რასაკვირველია, ლაყბობენ, ჰორიკანობენ. ქა, შენ რაღა გინგა აქა? ეკითხება ერთი ჩიქილოსანი მეორეს.

— შეთქმული მაქვს, ქალო, უპასუხებს.

— მერე და ავლაბრიდგან როგორ დადიხარ?

— უი, ვენაცვალე მამა დავითის მადლსა, ისეთი ძლიერია, რომ სულ ჩიტივით ამოვფრინდები ხოლმე.

— ღმერთმა შეძლება მოგვცეს დედავ. გაათავა ბაასი პირველმა ჩიქილოსანმა და შეჩერდა.

— ქალო, ქალო დაინახე აგერ ის ქალი. უცბად წამოიძახა პირველმავე ეგ არის, აი, ქაჯან, ოსანაანთ მიტრიამ რომ დანიშნა და შემდეგ ხელი აიღო,

— იმასაც გაშავებია გვირგვინი, მერე რა მადლი უქნია, წარმოიძახა ვიღაცამ.

— მაშა რადა ეგ რო რიგიანი, მაგისმა მზემ, თვალებს დაუკოცნიდნენ, დაცინვით სთქვა მობასემ და მოჰყვა ჰორიკანობასა. მოკლედ რომ ვსთქვათ; რწყილს აქლემი აშობინა.

ყველა ამათ ხედავდა ილო, და თვის და უნებურად იმათ ლაპარაკს ყურს უგდებდა. გული ყელში ებჯინებოდა. ზიზღი მოსდიოდა. უნდოდა ყველა გაეჩუმებინა, ყველასთვის პირში ბურთი ჩაეჩარა. მაგრამ რას იზიდავდა. სპილოს კოდოს კბენა რას დააკლებს? ილოც კოდო იყო ამოდენ სქელკანა და სქელ-თავა ბრბოში.

ბედენაძემ ფეხი გაუჩქარა. უნდოდა მოშორებოდა ამ წრეს მაგრამ ყველა ფეხის გადადგმაზე ერთს და იმავეს ხედავდა, ერთს და იმავეს გრძნობდა. ხალხიც თანდათან გროვდებოდა, ერთად ჯგუფდებოდა და ხვნეშა-ქოშინით აღმართს ებობღებოდა.

მამა დავითის ეკკლესიასთან ასასვლელი გზა საკმაოდ ვიწრო და დაკლაკნილია. მთვარიან ღამეში ზემოდგან რომ დახედოთ ამ გზასა, გველნებათ თეთრი ნაკაფული მიიკლაკნება ამ მთის კალთაზედო. მშვენივრად დაქვიშული დატკეპნილი გზატკეცილი სწორედ სასიამოვნო სასიარულოა. ამ გზა ტკეცილს აქეთ იქით ნაპირებზე არიგებულ-ჩამორიგებული აქვს საჩრდილობელი ხეები, რომლებიც რაღაც საიდუმლო ელფერს აძლევენ ამ გზას და ჯარის-კაცებივით დარაჯად დასდგომია მთის კალთებს. მიჩუმებულ ღამეში, იმ დროს, როდესაც კაცთა ჟრიამული შეწყვეტილია და ათასი უწმინდური ფეხი არ სტკეპნის ამ გზას, რომ აიაროთ, მართლა რაღაც სიწმინდეს, რაღაც მშობლიურ სიყვარულს იგრძნობთ და ძალაუნებურად წამოიძახებთ. „წმინდა არს, წმინდა არს ალაგი ესე“! აი ამ გზატკეცილზე, ყველა ხის ქვეშ დამჯდარიყო თითო თითო მათხოვარი და გამვლელ-გამომვლელს მოწყალებასა სთხოვდნენ. სწორედ საზარელი სანახავი იყო ეს უთვალავი ხროვა ღარიბ-ღატაკებისა, ბრმა კოჭლებისა, უხელ-ფეხოებისა! კაცს უნდა ქვის გული ან თვისი ადამიანობა დავიწყებული ჰქონოდა, რომ ამ უბედურებისთვის ყურადღება არ მიექცია. მაგრამ... ამ საღამოთი მოსეირნენი თითქოს ვერც-კი ამჩნევდნენ ამ მათხოვარებს. ათასში ერთი თუ მიუგდებდა ორ გროშიანს.ა..

(დასასრული იქნება)

ლისტების მოძრაობას, ამას, გაზეთის „Daily News“ აღნიშნავს. გაზეთი ამტკიცებს, რომ ახლად დაარსებული „მომქმედთა კომიტეტი“, და როიალისტებთა მოძრაობა თითქმის არავითარს ზიანს არ მოუტანს საფრანგეთის რესპუბლიკასაო. ინგლისის ერთი გაზეთთაგანი ურჩევს ორლეანის დუკს, რომ ისა სჯობია, შენს სურილს თავი დაანებო და ტყუილად ნუ ეწვალები, უაზრო მანიფესტებით და მჭერმეტყველებით ვერაფერს გააკეთებ, მაგითი მარტო მშიერს და უსაქმო ბრბოს თუ გაუძღობ კუქსაო. შემდეგ იგივე გაზეთი განაგრძობს: აბა, რა გააკეთა გარდაცვალებულმა გრაფმა თავისის დაუღალავის ბრძოლითაო? ამაზედ მარტო ის ითქმის, რომ «ამ უაზრო ბრძოლამ მთელი მილიონები ჩაჰყლაპაო». ფული, რომელიც პარიჟის გრაფმა როიალისტებს შეაჭამა, ისევე უსარგებლოდ დაიხარჯა, როგორც პანამის არხისათვის დახარჯული ფულიო.

—

„Gaulois“ იუწყება, რომ დუკს ორლეანისას განზრახვა აქვს ევროპაში იმოგზაუროს და ზოგიერთ სახელმწიფოთა მეფენი ინახულოსო.

—

**სერბია.** ბელგრადიდგან დღეშით სწერენ გაზეთს „Politik“-ს, რომ სერბიაში მეტად გავრცელდა ავაზაკობა და მთავრობა იმის ფიქრშია, როგორ მოვსპოთო. რადიკალთა ბატონობის დროს ჟანდარმების რიცხვი არ აღემატებოდა 500-ს; ეხლა-კი 2,000 ზედ მეტია, მაგრამ ესეც არა ყოფილა საკმარისი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, ჟანდარმებს კიდევ 650 კაცი მიუმატოთო.

## სამეცნიერო ნაწილი

—

მეცნიერება სცდილობს, ელექტრონის ძალა ყველაფერში გამოიყენოს.

1890 წელს სინგაპურის ნავთ-სადგურში იდგა ერთი გემი და მეორე-კი 100 ვერსის სიშორეზედ. ამ გემებმა სცადეს ერთმანერთისთვის დეპეშები გაეგზავნათ ელექტრონის სინათლის შემწეობით და ერთმანერთს შეატყობინეს, რაც საჭირო იყო. ეხლა-კი ეს არ იკმარა მეცნიერებამ და ისეთი მანქანა გააკეთეს, რომლის საშუალებით შესაძლებელია განცხადებათა „ბეჭდვა“ ზეცაში ღრუბლებზედ. ასეთი მანქანა იყო შარშან ჩიკაგოს გამოფენაზედ. ერთის მაღალ სახლის აივანზედ გაჰმართეს მანქანა მანჟენის სისტემისა, რომელიც ელექტრონის სინათლეს იძლეოდა. მანქანას წინ ედგა დიდი კარდონი, რომელშიაც ამოჭრილი იყო ასოები და ციფრები. სინათლე გადიოდა ამ კარდონის ამოჭრილ ასოებში და მერე გადიდებულის სახით გამოჩნდებოდა ღრუბლებზედ. გამოფენის ადმინისტრაცია ყოველს ღამეს, როცა-კი ცაზედ ღრუბელი იყო, ამ მანქანით ცაზედ აღბეჭდავდა ხოლმე რამდენი კაცი ყოფილა იმ დღეს გამოფენაზედ და გარდა ამისა ჩიკაგოსა და მის მიდამოების მცხოვრებთართობდა იმით, რომ ცაზე „სწერდა“ სიტყვებს და „ხატავდა“ პატარა სურათებს. გამოფენა რომ გათავდა, ეს ელექტრონის მანქანა გადიტანეს ნიუ-იორკში და დასდგეს იმ სახლის ბანზედ, რომელშიაც „New-York World“-ის რედაქცია იმყოფება. ეს მანქანა ამ წლის დამდეგიდგან ჰმოქმედობს, ე.ი. ცაზედ „ჰბეჭდავს სხვა და სხვა განცხადებას (რასკვირველია, ძლიერ მოკლეს). მანქანა ღერძზეა გამართული და შეიძლება იქით მიაბრუნოს კაცმა, საითკენაც ღრუბელი მიდის. თუ ვინცობაა ღრუბელი არ არის ცაზედ, არც ეს დაუშლის განცხადების ბეჭდვას. ჰაერში ისვრიან ხოლმე ყუმბარებს. ყუმბარა სკდება და ჩნდება კვამლი. მანქანაც ამ კვამლზედ „ჰბეჭდავს“ განცხადებებს. რა თქმა უნდა, რომ ასეთ განცხადებებს ბეჭდვა იაფად არ უჯდება მსურველს. მარტო ელექტრონის ძალისთვის საჭიროა 3 დოლლარი (6—7 მან.) ერთი საათის განმავლობაში.

პარიჟში თურმე ახალი სააქციონერო საზოგადოება არსდება, რომელსაც საგნად ექმნება «ჰბეჭდოს» ასეთი განცხადებანი: ეს საზოგადოება თავის საქმეს შეუდგება სულ მოკლე ხანში.

## შემოწირულება

—

მივიღეთ სოფელ ხიდისთავიდგან ბერიძის ასულების ნინოსა და ვენერასაგან 35 მანეთი, რომელიც, შემომწირველთა სურვილის თანახმად, ასე უნდა იქმნას განაწილებული: 5 მანეთი გადაიდოს შოთა რუსთაველის ძეგლისათვის, 5 მან.—ნ. ბარათაშვილის ძეგლისათვის, 5 მან.—სალიტერატურო ფონდისა, 5 მან.—დ. ბაქრაძის ფონდისა, 5 მან. წინამძღვრიანთ-კარის სასწავლებლისათვის, 5 მან.—ქორიძეს გადასაცემად ქართულის გალობის გასავრცელებლად და 5 მანეთიც ნოე ჟორდანიას გადასაცემად.

სალიტერატურო ფონდისა გვქონდა 685 მან. 99 კაპ. და ამითი შესდგა 690 მან. 99 კაპ. შ. რუსთაველისა იყო 1053 მან. 32 კაპ., და ამითი შესდგა 1058 მან. 32 კაპ.

### პეტერბურგის ბირჟა, 9 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,42 | 7,45 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 148¼ | 149 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 242 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 221½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — | — „ | 194¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — „ | 101½ | — „ |
| 5% . . . . . | — „ | — „ | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — „ | 101½ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | — „ | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 99 „ | — „ |


## განცხადებანი

### ვეძებ ნოქარის ადგილს

უფრო კახეთის ღვინის მოვაჭრეებთან ქალაქში, ან ქალაქ გარეთ. 500 მან. წინდად შევიტან.

მსურველმა ადრესი დასტოვოს «ივერიის» რედაქციაში.

(2—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ზრაჟევსკი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

მ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)




ტიმ ლოვის ელექსირი კბილებისთვის ტიმოლოვის ფხვნილი კბილებისთვის. ერიდეთ სიყალბეს და უეჭველად მოიკითხეთ ის საგნები, რომელსაც ჩვენი ქარხნის მარკა აქვს, მთავრობის მიერ დამტკიცებული.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(18—1)

3. ა. აბაშიძის გამოცემა

გამოვიდა და ისყიდება

**პანთეონი**

ქართულის თეატრისა

წიგნი I

შინაარსი:

იჭვიანი—ვოდევილი 1 მოქმედ.
ბნელს ოთახში—ვოდ. 1 მოქმ.
ახირებულია—ვოდ. 1 მოქმ.

ფასი 30 კაპ.

(10—მ—6)

**ცხოვრება**

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

დაიბეჭდა და ისყიდება ზ. გრიქუროვის წიგნთ-საცავში

**საღმრთო ისტორია**

ძველ და ახალ აღთქმისა სურათებით. შედგ. გ. იოსელიანის მიერ. სახელმძღვანელო შედგენილია სამრევლო და საერო სკოლებისთვის. დამატებაში მოქცეულია უმთავრესი მოთხრობანი ქარ. ეკკლესიის წმიდანებზე და რუსთა გაქრისტიანებაზე.

გამოცემა 2 ე. ფასი 50 კ. ვინც 30 ცალს იყიდის ერთად, წიგნი დაეთმობა 40 კაპ.

იბეჭდება და მალე გამოვა გრამატიკა არისტო ქუთათელაძისა. გამოცემა იმავე ზაქარია გრიქუროვისა.

(3—მ—2)

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

„ურბენი“ (L'URBAINE)

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავის-ფუფლებისგანდან გარდასასხადისაგან და ბოლოის ს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—1061—18)



ვერცხლისა



ტფილ. გამოფენა.




**ქარხანა.**

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

**ა. ა. თუთაევისა**

**ტფილისში, იარმუკაზედ.**

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-ედიანკით, სადაც ობოლთა მზრუნველი სასამართლო იყო; და დიკის ფერად აგუჯალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფიის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიპოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც ვუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გავგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—24

ალალო თუთაევის